განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
მარკეტინგის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი

25 მაისი, 2018

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი**
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	**229275405**
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**მარკეტინგი**
განათლების საფეხური	**ბაკალავრიატი**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში (Bachelor of Business Administration in Marketing)
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ავტორიზებული (აკრედიტირებული), პროგრამა აკრედიტებულია 09/12/2011, #443 გადაწყვეტილებით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თორნიკე გურული, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დევი შონია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ცირამუა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

მარკეტინგის საბაკალავრო პროგრამა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მოქმედი აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამაა. უმაღლეს დაწესებულებას აღნიშნული პროგრამა მილევად რეჟიმში სურს გადაიყვანოს, რადგანაც ანვითარებს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო ახალ პროგრამას, რომელშიც მარკეტინგის მიმართულება ცალკე კონცენტრაციად ჩამოყალიბდება. მას შემდეგ, რაც ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა აკრედიტაციას გაივლის, დაწესებულების განმარტებით, მარკეტინგის საბაკალავრო პროგრამა მილევადი გახდება და მასზე სტუდენტების მიღება არ განხორციელდება. სასწავლო პროგრამა სტანდარტულია და ბაზარზე არსებული პროგრამების მსგავსია.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 25 მაისს. ვიზიტის ფარგლებში შედგა შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან. ვიზიტის ფარგლებში აკრედიტაციის ჯგუფის წევრები დეტალურად გაეცნენ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსებს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სასწავლო პროგრამა მეტწილად შეესაბამება არსებულ სტანდარტებს. რადგანაც სასწავლო პროგრამა აკრედიტაციის შემთხვევაში მილევად რეჟიმში გადავა, არსებობს საშიშროება, რომ აღნიშნული პროგრამის განვითარება არ იქნება პრიორიტეტული.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგები თანხვედრაშია სასწავლო პროგრამასთან. მარკეტინგის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას. პროგრამის მიზანი ლოგიკურად და ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია. უმაღლეს სასწავლებელს ქართულენოვან პროგრამაზე აკლია დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის სრულყოფისათვის. უნივერსიტეტს წლების განმავლობაში აქტიური ურთიერთობა აქვს დამსაქმებლებთან და სასურველია, თუ ეს გამოცდილება გადატანილი იქნება საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაშიც.

მარკეტინგის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსობრივი თანმიმდევრობა ლოგიკურია და ორიენტირებულია სტუდენტის კომპეტენციების განვითარებაზე. იმისთვის, რომ პროგრამის კურსდამთავრებული უფრო მეტად იყოს კონკურენტუნარიანი დასაქმების ბაზარზე, მნიშვნელოვანია პროგრამის გამდიდრება არჩევითი სასწავლო კურსებით.

პროგრამის სუსტ მხარეს წარმოადგენს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი. მარკეტინგის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი არაა მარკეტინგის მიმართულებით დასაქმებული, შესაბამისად დარგში არსებულ აქტუალურ ცოდნას არ ფლობს. პროგრამას ერთი აფილირებული პროფესორი ჰყავს, რომელიც საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებითაა სპეციალიზირებული. პროგრამის აკადემიური პერსონალიდან მხოლოდ ერთია, რომელიც მარკეტინგის მიმართულებით მუშაობს. მარკეტინგის კომპონენტს ძირითადად მოწვეული პედაგოგები ფარავენ.

სწავლების მეთოდიკა თანამედროვეა. კრედიტების მოცულობა სასწავლო კურსების დატვირთვის მიხედვითაა გაწერილი. პროგრამა მოიცავს არჩევით და სავალდებულო სასწავლო კურსებს.

უმაღლეს სასწავლებელში ვიზიტმა აჩვენა, რომ უნივერსიტეტს აქვს შესაბამისი რესურსი და უცხოურ ინსტიტუციებთან კონტაქტი, რათა უზრუნველყოს პროგრამის ინტერნაციონალიზაცია, თუმცა აღნიშნული საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ეს კომპონენტი მცირეა.

პროგრამის განსახორციელებლად უმაღლეს სასწავლებელს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გააჩნია. ხარისხის მართვის სამსახური პროგრამის სრულყოფის მიზნით სხვადასხვა მექანიზმს ახორციელებს.

- **რეკომენდაციები**

  - რეკომენდებულია მეტად გააქტიურდეს პროგრამის პოტენციური დამსაქმებლების როლი პროგრამის შემუშავების პროცესში, სრულად იქნეს გამოყენებული მათი რესურსები პროგრამის განვითარებისათვის.
  - განისაზღვროს ცალკეული სასწავლო კურსებისათვის დაშვების წინაპირობები
  - პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილ იქნეს არჩევითობა;
  - სტუდენტებს დეტალურად ეცნობოთ საგნების სემესტრული გადანაწილება, რათა თავიდან იქნეს არიდებული წინაპირობების დარღვევა და უზრუნველყოფილ იქნეს სავალდებულო საგნის შესაბამის სემესტრში მიწოდება;
  - გაიზარდოს პროგრამაზე აკადემიური პერსონალის რაოდენობა, რათა გარანტირებულად იყოს უზრუნველყოფილი სავალდებულო კურსებზე სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის წარმართვა;
  - პროგრამის ფარგლებში გაძლიერდეს კვლევითი კომპონენტი და დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტთა წახალისება და ჩართულობის ზრდა კვლევით საქმიანობაში;
  - გაიზარდოს სტუდენტთა ინიციატივებისათვის გამოყოფილი თანხის მოცულობა და სტუდენტებს მიეწოდოთ ინფორმაცია აღნიშნული შესაძლებლობის შესახებ;
  - სწავლების ინტერნაციონალიზაციის განვითარებისათვის, დაწესებულებამ უზრუნველყოს გაფორმებული მემორანდუმების განახლება; უნივერსიტეტმა უზრუნველყოს წარმოდგენილი პროგრამის სტუდენტებისათვის გაცვლითი პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობების შექმნა, მათ შორის, ინგლისური ენის შესაბამის დონეზე სწავლება;
  - მარკეტინგის მიმართულებით აკადემიური პერსონალისა და აფილირებული პერსონალის მეტი ჩართულობა;
  - გაძლიერდეს პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენცია მარკეტინგის მიმართულებით, რათა მან შეძლოს აღნიშნული პროგრამის განვითარება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიაა უზრუნველყოს პროფესიონალიზმზე ორიენტირებული ხარისხიანი განათლება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რა გამოყენებით კვლევებს, ინოვაციებს, ინტერნაციონალიზაციასა და უწყვეტ განათლებას. შზსუ ისწრაფვის ხელი შეუწყოს კულტურათაშორის დიალოგს, შეინარჩუნოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და წვლილი შეიტანოს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარებაში. მარკეტინგის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებით კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბიზნესის სხვადასხვა სექტორის საქმიანობის განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს დასაქმების შესაძლებლობას სახელმწიფო, კერძო, და არასამთავრობო სექტორებში; პროგრამის მიზანია აგრეთვე სტუდენტებისათვის ბიზნესის ადმინისტრირებისა და მარკეტინგის დარგის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების საფუძვლიანი ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და ზოგადი კომპეტენციების უზრუნველყოფა. მარკეტინგის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას. პროგრამის მიზანი ლოგიკურად და ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ შზსუ-ის მისია; ○ მარკეტინგის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ მონაცემები შრომის ბაზრის კვლევის შედეგების შესახებ;
რეკომენდაციები: ○
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მარკეტინგის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსობრივი თანმიმდევრობა ლოგიკურია და ორიენტირებულია სტუდენტის კომპეტენციების განვითარებაზე. საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის თითოეული კომპონენტი აღწერილია სილაბუსში, რომელშიც მოცემულია სასწავლო კურსის მიზანი, შინაარსი, სწავლისა და სწავლების მეთოდები, სწავლისათვის ლიტერატურის ჩამონათვალი, სწავლის შედეგები და ცოდნის შეფასების პროცესის დეტალური აღწერა. პროგრამაში ძირითადად გამოყენებულია სწავლების შემდეგი მეთოდები: სალექციო მეთოდი, ვერბალური (სალექციო), ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, მუშაობა მცირე ჯგუფებში, წიგნზე მუშაობა, ლაბორატორიული, პრაქტიკული მეთოდები, ლოგიკური ჯაჭვი (მოსაზრება, მიზეზი, მაგალითი, შეჯამება), როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, დისტანციური სწავლება, კომუნიკაციური მიდგომა, დავალებაზე დაფუძნებული სწავლება. პროგრამის კომპონენტის შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მარკეტინგის საბაკალავრო პროგრამა ○ სილაბუსები

○ ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: •
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით
მარკეტინგის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის მარკეტინგში აკადემიური ხარისხი 240 ECTS კრედიტის დაგროვების შემდეგ. პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მარკეტინგის საბაკალავრო პროგრამა ○ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან;
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე
მარკეტინგის საბაკალავრო პროგრამაში ფორმულირებულია სწავლების შედეგები, რომელიც აღწერს თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას და უნარებს, რომელთა დემონსტრირების საშუალება ექნებათ კურსდამთავრებულებს პროგრამის დასრულების შემდეგ. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში მკაფიოდ არის აღწერილი, მოცემულია დასაქმების სფეროები, სადაც კურსდამთავრებულებს შეუძლიათ დასაქმდნენ. აღსანიშნავია, რომ სასწავლო უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს კვლევას კურსდამთავრებულთა მიერ სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების ტენდენციის გამოსავლენად. დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან საუბრისას გაირკვა, რომ სტუდენტთა დიდი ნაწილი დასაქმებულია უშუალოდ სწავლების პროცესის პარალელურად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მარკეტინგის საბაკალავრო პროგრამა; ○ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ ინტერვიუ პოტენციურ დამსაქმებლებთან; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ კურსდამთავრებულების გამოკითხვისა და შრომის ბაზრის ანალიზი;
რეკომენდაციები:

•
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის •
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება
პროგრამის პოტენციური დამსაქმებლების როლი პროგრამის შემუშავების პროცესში სუსტია. პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობა განისაზღვრება ურთიერთგაგების მემორანდუმებით. გასაუბრებაში მონაწილეობდა სამი დამსაქმებელი, რომელთანაც თანამშრომლობის დიდი ხნის გამოცდილება გააჩნია. ისინი ვერ იხსენებდნენ, რომელი პროგრამიდან ჰყავდათ დასაქმებული სტუდენტები და კონკრეტულად რა შინაარსის იყო მარკეტინგის საბაკალავრო პროგრამა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე მათი როლი უმნიშვნელოა პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და მათ ობიექტებზე სასწავლო პრაქტიკის გავლით კუთხით, ისინი მზად არიან უნივერსიტეტთან მჭიდრო თანამშრომლობისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მარკეტინგის საბაკალავრო პროგრამა; ○ ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ ინტერვიურება პოტენციურ დამსაქმებლებთან; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;

რეკომენდაციები: ➢ **რეკომენდებულია მეტად გააქტიურდეს პროგრამის პოტენციური დამსაქმებლების როლი პროგრამის შემუშავების პროცესში, სრულად იქნეს გამოყენებული მათი რესურსები პროგრამის განვითარებისათვის.**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. უზრუნველყოფს გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობებითა და პროცედურებით პირთა მიღებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამაზე დაშვების წინაპირობა; • ინფორმაციის საჯაროობა; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.ibsu.edu.ge ; • შზსუ - ს სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას
საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS სისტემის შესაბამისად, სადაც 1 კრედიტი = 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების მოცულობა 240 კრედიტია. პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. პროგრამაში გამოყენებულია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების ერთობლიობა. კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლის შემდეგი მეთოდები, რომლებიც მოცემულია სასწავლო კურსის პროგრამებში (ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა, სემინარი, დამოუკიდებელი მუშაობა, პრეზენტაცია, დემონსტრირება, ინდუქცია, დედუქცია და სხვა) და მათი გამოყენება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; • საგანმანათლებლო პროგრამა; • სილაბუსები; • ვებ-გვერდი; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია

საგანმანათლებლო პროგრამით კურიკულუმში სასწავლო დისციპლინების ძირითადი ნაწილი წარმოდგენილია თანმიმდევრული გართულებისა და გაღრმავების პრინციპის გათვალისწინებით. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. თუმცა, წარმოდგენილი შინაარსით პროგრამის სტრუქტურა საფუძვლიან კითხვებს ბადებს საბაკალავრო საფეხურზე სასწავლო კურსის ,,სტრატეგიული მარკეტინგი" სწავლებასთან დაკავშირებით.

ასევე, პროგრამის მარკეტინგის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსებს შორის არ არის წარმოდგენილი მთავარი - ,,მარკეტინგული კვლევის საფუძვლების" სასწავლო კურსი. სავალდებულო სასწავლო კურსებს შორის წარმოდგენილია ,,ბაზრის კვლევის საფუძვლები", რომელსაც ეთმობა კველაზე ნაკლები რაოდენობა - 4 კრედიტი, ხოლო არჩევით სასწავლო კურსებს შორის ,,ბიზნესის კვლევის საფუძვლები" – 5 კრედიტი, რომელშიაც სავალდებულო ლიტერატურა და შესაბამისად თემატიკა ეხება მარკეტინგული კვლევის პრინციპებს.

საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია არჩევით კურსებში არ მოხდეს წინაპირობის გაწერა, მაგრამ სწავლების მეთოდებში (პრეზენტაციის მომზადება, პროექტის მომზადება და ა. შ.) უნდა აისახოს მისი წინაპირობები. ამასთანავე, დაშვების წინაპირობა არ გააჩნია მარკეტინგის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსებსაც - ,,მომსახურების მარკეტინგი" და ,,გაყიდვების მართვა".

ტექნიკური ხარვეზი გვხვდება სილაბუსებში ,,მომხმარებელთა ქცევა", ,,ბაზრის კვლევის საფუძვლები", რომელთა წინაპირობად ნაცვლად ,,მარკეტინგის საფუძვლებისა" მითითებულია ,,მარკეტინგის პრინციპები".

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის გმოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

• **განისაზღვროს ცალკეული სასწავლო კურსებისათვის დაშვების წინაპირობები**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტების შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო პროგრამა • შზსუ-ში ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ
სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოყენებულია გამჭვირვალე კრიტერიუმები. ისინი ასახულია სილაბუსებში. უმაღლეს დაწესებულებას აქვს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მიღწეული შედეგების შესახებ სტუდენტების ინფორმირებულობას. გათვალისწინებულია მექანიზმები ნაკლოვანებების გაუმჯობესების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სწავლება-სწავლის მეთოდები; • ინტერვიუები სტუდენტებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: დაწესებულება სტუდენტებს სთავაზობს პროფილის განსაზღვრისათვის საჭირო კონსულტაციებსა და დახმარებას, სტუდენტები მეტწილად იღებენ მიღწევების გასაუმჯობესებლად საჭირო ინფორმაციას. სასწავლო პროცესის დაგეგმვა ნაწილობრივ ერგება სტუდენტთა მოთხოვნებს. პროგრამას ჰყავს ადმინისტრატორი, რომელიც პასუხისმგებელია სტუდენტთა ინფორმირებასა და კონსულტირებაზე, მათ შორის სასწავლო პროცესის ადმინისტრირებაზე. თუმცა სტუდენტებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა რამდენიმე გარემოება, რომელიც სასწავლო პროცესის დაგეგმვის ხარვეზზე მიუთითებს. კერძოდ, სტუდენტები აცხადებენ, რომ მათ სასურველი საგნების არჩევის საშუალება არ ეძლევათ, ასევე, ყოფილა შემთხვევები, როდესაც ინფორმაციის უქონლობის გამო სტუდენტები იძულებულები გახდნენ მეორე კურსის სავალდებულო საგნები მეოთხე კურსზე ესწავლათ. დაწესებულებაში ყოფილა საგნის სწავლების შუა სემესტრში შეწყვეტის პრაქტიკაც. ერთ-ერთი სტუდენტის შემთხვევაში კი პირიქით, კონკრეტულ საგანში სტუდენტი სასწავლო პროცესს მე-7 კვირაში შეუერთდა, რამაც სირთულეები შეუქმნა საგნის დაძლევისას. დაწესებულებაში ხდება სტუდენტთა მიღწევების/შეფასებების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში, ხარისხის სამსახურის რეკომენდაციით, ხდება სასწავლო კურსების შინაარსობრივი გადასინჯვა. სტუდენტები საკუთარ შეფასებებს ეცნობიან ელექტრონული საინფორმაციო პორტალის (sis.ibsu.edu.ge) მეშვეობით. სწავლების პროცესში გამოიყენება Moodle-ის ბაზაზე შექმნილი პორტალი (Smart.ibsu.edu.ge). სტუდენტთა მხარდაჭერისათვის უნივერსიტეტში ტარდება საჯარო ლექციები, ვორქშოპები, დასაქმების ფორუმები და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სააკრედიტაციო ვიზიტისას ინტერვიურების დროს მიღებული ინფორმაცია • დაწესებულების ვებ-გვერდი (IBSU.EDU.GE)

- საინფორმაციო ელექტრონული სისტემა (sis.ibsu.edu.ge და smart.ibsu.edu.ge)

რეკომენდაციები:

- პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილ იქნეს არჩევითობა;
- სტუდენტებს დეტალურად ეცნობოთ საგნების სემესტრული გადანაწილება, რათა თავიდან იქნეს არიდებული წინაპირობების დარღვევა და უზრუნველყოფილ იქნეს სავალდებულო საგნის შესაბამის სემესტრში მიწოდება;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა

დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტებთან დამატებითი კონსულტაციის საათები (კონსულტაცია ინიშნება აკადემიურ პერსონალთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე). დაწესებულებას ჰყავს აფილირებული პერსონალიც, რომელთაც მათი ხელშეკრულება ავალდებულებს მსგავსი ტიპის მუშაობა გასწიონ.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მათი უმრავლესობა მხოლოდ სალექციო პროცესში ჩართულობით შემოიფარგლება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ სააკრედიტაციო ვიზიტისას ინტერვიურების დროს მიღებული ინფორმაცია

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება
- აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები

რეკომენდაციები:

- გაიზარდოს პროგრამაზე აკადემიური პერსონალის რაოდენობა, რათა გარანტირებულად იყოს უზრუნველყოფილი სავალდებულო კურსებზე სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის წარმართვა;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში

დაწესებულება მეტწილად უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართვას პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებში, თუმცა მცირეა კვლევით პროექტებისა და კურიკულუმს გარე აქტივობების განხორციელებაში სტუდენტთა ჩართულობა.

სასწავლო პროგრამა, მათ შორის კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი პროექტები მხოლოდ მცირედით მოიცავს კვლევით კომპონენტს. მცირეა სტუდენტთა მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

პროგრამის ბიუჯეტში მიზერული თანხა არის გათვალისწინებული სტუდენტთა ინიციატივების განსახორციელებლად. დაწესებულების წარმომადგენელთა განცხადებით, ბიუჯეტი წინა წლების გამოცდილებით შემუშავდა. სტუდენტებთან ინტერვიუზე ნათელი გახდა, რომ სტუდენტები არ ფლობენ ინფორმაციას ამ შესაძლებლობებსა და საკუთარი ინიციატივების დაფინანსების მექანიზმზე.

დაწესებულება აუმჯობესებს პრაქტიკის კომპონენტს და სტუდენტებიც თვლიან, რომ ამ მიმართულებით პროგრამაზე წინსვლაა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სააკრედიტაციო ვიზიტისას ინტერვიურების დროს მიღებული ინფორმაცია; • დაწესებულების ვებ-გვერდი; • საბაკალავრო პროგრამა; • დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კვლევის შედეგები; ○ პროგრამის ბიუჯეტი;
რეკომენდაციები: • პროგრამის ფარგლებში გაძლიერდეს კვლევითი კომპონენტი და დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტთა წახალისება და ჩართულობის ზრდა კვლევით საქმიანობაში; • გაიზარდოს სტუდენტთა ინიციატივებისათვის გამოყოფილი თანხის მოცულობა და სტუდენტებს მიეწოდოთ ინფორმაცია აღნიშნული შესაძლებლობის შესახებ;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის •
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე

დაწესებულება ორიენტირებულია სასწავლო და სამეცნიერო პროცესის ინტერნაციონალიზაციაზე. უნივერსიტეტში ხორციელდება აკადემიური გაცვლითი პროგრამები, აკადემიური პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. მიუხედავად საუნივერსიტეტო მასშტაბით ინტერნაციონალიზაციის მაღალი ხარისხისა, პროგრამის არცერთი სტუდენტს გაცვლითი პროგრამით არ უსარგებლია, მათ შორის არც დაგეგმილ გაცვლით პროგრამებში არ არის მარკეტინგის მიმართულების სტუდენტი. დაწესებულება აღნიშნულ ფაქტს კონკურენციის მაღალი დონით ხსნის და მარკეტინგის მიმართულების სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნის დონეს სხვებთან შედარებით კონკურენტუნარიანად არ აღიქვამს, რაც თავის მხრივ წინააღმდეგობაში მოდის დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტთან, სადაც ინტერნაციონალიზაციის ძლიერ მხარედ დაწესებულებას ინგლისური ენის სწავლება აქვს წარმოჩენილი.

თვითშეფასების დოკუმენტში ერთ-ერთ უპირატესობად დაწესებულებამ დამატებითი უცხო ენების არჩევის შესაძლებლობა განსაზღვრა, თუმცა, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ შეთავაზებული ენებით სტუდენტები არ არიან დაინტერესებულები.

დაწესებულებამ ვიზიტისას წარმოადგინა მემორანდუმები უცხო ქვეყნის სასწავლო დაწესებულებებთან, რომელთა ნაწილიც რამდენიმე წლის წინ გაფორმდა და საჭიროებდა განახლებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სააკრედიტაციო ვიზიტისას ინტერვიურების დროს მიღებული ინფორმაცია;
- გაცვლითი სტუდენტების რეესტრი;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- მემორანდუმები და ხელშეკრულებები საზღვარგარეთ რეგისტრირებულ სასწავლო დაწესებულებებთან;

რეკომენდაციები:

- სწავლების ინტერნაციონალიზაციის განვითარებისათვის, დაწესებულებამ უზრუნველყოს გაფორმებული მემორანდუმების განახლება;
- უნივერსიტეტმა უზრუნველყოს წარმოდგენილი პროგრამის სტუდენტებისათვის გაცვლითი პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობების შექმნა, მათ შორის, ინგლისური ენის შესაბამის დონეზე სწავლება;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას, სათანადო ინვენტარით აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიებს, ბიბლიოთეკას, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახებს, კომპიუტერულ რესურს–ცენტრებს, ინტერნეტის წვდომის საშუალებებს და სხვა ტექნიკურ აღჭურვილობას, რომლებიც შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ექსპერტების მიერ შერჩევით მოხდა სილაბუსში მითითებული ძირითადი ლიტერატურის ბიბლიოთეკაში დათვალიერება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება ადგილზე;
- გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრება პროგრამის სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით

უმაღლესი სასწავლებელი ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებუსათვის აუცილებელ კომპონენტებს. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია როგორც აკადემიური პერსონალი, ასევე მოწვეული პედაგოგები.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ვერ ფლობს მარკეტინგის მიმართულებით აქტუალურ ინფორმაციას, ასევე მარკეტინგის მიმართულების მონათესავე სფეროდანაა აფილირებული პროფესორიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ხელშეკრულებები პერსონალთან ○ საბაკალავრო პროგრამა ○ პერსონალთან ინტერვიუები, განხორციელებული ვიზიტის დროს
რეკომენდაციები: • **მარკეტინგის მიმართულებით აკადემიური პერსონალისა და აფილირებული პერსონალის ჩართულობა** • **გაძლიერდეს პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენცია მარკეტინგის მიმართულებით, რათა მან შეძლოს აღნიშნული პროგრამის განვითარება**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით
ექსპერტების ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ პროგრამის განხორციელების ხელშეწყობა უზრუნველყოფილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. უნივერსიტეტის პერსონალი (მათ შორის, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული სერვისი და სხვ.) უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას საბაკალავრო პროგრამასთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე, ეხმარებიან მათ სწავლის პროცესში შექმნილი პრობლემების გადაჭრაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიურება საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და შესაბამისად, უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსების უმეტეს სილაბუსებში ძირითად და დამატებით მოცემულია ქართულენოვანი სასწავლო მასალა რიდერების სახით, რომელიც დაფუძნებულია დარგში არსებულ აქტუალურ ცოდნაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ ინტერვიურება ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამათვრებულებთან; ○
რეკომენდაციები: •
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტისათვის იქმნება ყოველწლიურად ბიუჯეტი, რომელშიც ასახულია შემოსავლები და ხარჯები. უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის მიხედვით ბიუჯეტში გაწერილია ის მუხლები, რომელიც ორიენტირებულია პროგრამის განვითარებასა და გაუმჯობესებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ○ ფაკულტეტის 2018 წლის ბიუჯეტი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლს

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და ახორციელებს ის მეტწილად ეფექტურ მუშაობას. კერძოდ, დაწესებულების მიერ დანერგილი სისტემა ითვალისწინებს PDCA ციკლს. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს იცნობს საუნივერსიტეტო საზოგადოება. ინტერვიუებისას დადასტურდა დაწესებულების მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მეტწილად გამართული მუშაობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების კითხვარი, თანდართული დოკუმენტაცია ○ ვიზიტისას მიღებული ინფორმაცია
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის •
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულებაში შიდა და გარე შეფასებებს მეტწილად იყენებენ პროგრამის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად. თუმცა ზოგჯერ დაწესებულება უგულებელყოფს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის შენიშვნებს/შეფასებებს პროგრამის გაუმჯობესების/დაგეგმვის პროცესში. ინტერვიუების პროცესში ნათლად გამოჩნდა, რომ ზოგიერთი პერსონალის და სტუდენტის შენიშვნა/რეკომენდაცია წარმოდგენილი პროგრამის გაუმჯობესების პროცესში არ იქნა გათვალისწინებული. კერძოდ, საგნის შინაარსობრივ მხარესთან და წინაპირობებთან დაკავშირებით სტუდენტები და პროფესორები ერთხმად აცხადებდნენ, რომ საჭირო იყო ცვლილება/კურსის დამატება, თუმცა აღნიშნული რეკომენდაცია არ იყო გათვალისწინებული საბოლოოდ წარმოდგენილ პროგრამაში. დაწესებულებას პროგრამის შემუშავებისას შესწავლილი ჰქონდა კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების აზრიც. კურსდამთავრებულთა აზრით, ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი, რაც სასწრაფოდ უნდა აისახოს პროგრამაზე გახლავთ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის აკადემიური განათლება, კერძოდ, მათი აზრით მნიშვნელოვანია პროგრამაში მეტი მარკეტინგის ჩართვა. აღნიშნული რეკომენდაცია არ გახლავთ გათვალისწინებული და პროგრამას არ ჰყავს არცერთ აფილირებული აკადემიური პერსონალი მარკეტინგის მიმართულებით, მათ შორის მოწვეული პერსონალის უმრავლესობაც მომიჯნავე დარგებიდანაა და მხოლოდ ერთეულებს აქვთ განათლება მარკეტინგში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სააკრედიტაციო ვიზიტისას ინტერვიურების დროს მიღებული ინფორმაცია; • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები; ○ წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია სასწავლო უნივერსიტეტმა შეიმუშავოს გარე შეფასების მოქნილი სისტემა, გაზარდოს ძალისხმევა ამ მიმართულებით და გამოყოს მეტი ფინანსური რესურსები ამ მიმართულებაზე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 32

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: დევი შონია



სახელი, გვარი, ხელმოწერა: დავით ცირამუა